



შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი
GEORGIAN AMERICAN UNIVERSITY, LLC

მერაბ ალექსიძის 10, თბილისი 0160, საქართველო
10 Merab Aleksidze Street, Tbilisi 0160, Georgia
T (+995 32) 220 65 20 F (+995 32) 220 65 19
info@gau.ge www.gau.ge

კურსკულუმი

ინფორმატიკისა და ინჟინერიის სკოლა (ფაკულტეტი)

პროგრამის სახელწოდება

ვებ და მულტიმედიური პროექტის ტექნოლოგიები და მართვა

საფეხური

მაგისტრატურა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

ინფორმატიკის მაგისტრი (040101)

პროგრამის ხელმძღვანელი

ნინა კარბელაშვილი

პროგრამის მოცულობა

საგანმანათლებლო პროგრამის „ვებ და მულტიმედიური პროექტის ტექნოლოგიები და მართვა“ ფარგლებში სტუდენტმა კვალიფიკაციის მისაღებად უნდა დააგროვოს - 120 კრედიტი,

სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60 კრედიტზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არ უნდა აღემატებოდეს 75 კრედიტს.

სამაგისტრო პროგრამა „ვებ და მულტიმედიური პროექტის ტექნოლოგიები და მართვა“ იყოფა შემდეგ კომპონენტებად: სასწავლო, პრაქტიკული, კვლევითი, აგრეთვე მასში შედის თავისუფალი კომპონენტი.

სასწავლო კომპონენტი არის სასწავლო ელემენტების ერთობლიობა, რომელიც მიზნად ისახავს მაგისტრანტის დარგობრივ დახელოვნებას, ხელს უწყობს მას და ამზადებს პრაქტიკული სამუშაოს შესასრულებლად.

სასწავლო კომპონენტში მაგისტრანტი აგროვებს 82 კრედიტს. აქედან, 58 კრედიტი სავალდებულოა; 24 კრედიტს მაგისტრანტი აგროვებს შეთავაზებული ოთხი არჩევითი სასწავლო კონცენტრაციიდან - ერთერთიდან ან მათი ნებისმიერი კომბინაციით.

თავისუფალ კომპონენტში მაგისტრანტი აგროვებს 9 კრედიტს. იგივე ოთხი არჩევითი სასწავლო კონცენტრაციის საგნებიდან; ინფორმატიკის და ინჟინერიის სკოლაში ან ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში არსებული სხვა იმავე საფეხურის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამიდან; საქართველოს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არსებული აკრედიტებული იმავე საფეხურის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამიდან; უცხოეთის უმაღლეს სასწავლებელში არსებული იმავე საფეხურის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამიდან, თუ ეს კრედიტები შესაბამისად აღიარებული იქნება საქართველოს

კანონმდებლობის მიხედვით.

პრაქტიკულ კომპონენტში მაგისტრანტი აგროვებს 9 კრედიტს. იმ დაწესებულებებში, რომლებთანაც ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი აქვს გაფორმებული უნივერსიტეტს ან ინფორმატიკისა და ინჟინერიის სკოლას (ფაკულტეტს);

კვლევით კომპონენტში მაგისტრანტი აგროვებს 20 კრედიტს. კვლევით კომპონენტთან დაკავშირებული დაწვრილებითი ინფორმაცია მოცემულია - ინფორმატიკისა და ინჟინერიის სკოლის (ფაკულტეტის) მაგისტრატურის დებულებაში.

სწავლების ენა

ქართული

პროგრამის მიზანი

სხვადასხვა მიმართობების კომპანიებში და სახელმწიფო დაწესებულებებში ერთ-ერთ ყველაზე მოთხოვნად და მაღალანაზღაურებად პოზიციას წარმოადგენს პროექტის ხელმძღვანელი ინტერდისციპლინური ინფორმატიკის და ინფორმაციული ტექნოლოგიების დარგში. აქედან გამომდინარე სამაგისტრო პროგრამის მიზანია:

- მოამზადოს ინტერდისციპლინური ინფორმატიკის მაგისტირი, რომელიც საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდგომ, ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი ცოდნით და უნარებით აღჭურვილი, დამოუკიდებლად შეძლებს ვებ და მულტიმედია პროექტების შექმნას, მართვას და დანერგვას სხვადასხვა სამეცნიერო, საინჟინრო, საგანმანათლებლო, ინოვაციურ, კომერციულ და შემოქმედებით საქმიანობაში;
- მომზადდეს ღრმა და სისტემური ცოდნის მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, რომელიც მზად იქნება პრაქტიკული და კვლევითი საქმიანობისათვის ინტერდისციპლინური ინფორმატიკის და ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების სხვადასხვა სფეროში;
- მაღალი კვალიფიკაციის კადრების მომზადება, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფოს, მსხვილი კორპორაციების, მცირე ბიზნესისა და სხვადასხვა დარგის მეცნიერების მოითხოვნას ინტერდისციპლინური ინფორმატიკის პროექტებისა და კვლევების განსახორციელებლად, ასევე პროექტების ხელმძღვანელობის, მართვის უზრუნველსაყოფად;
- გამოუმუშაოს სტუდენტებს პრაქტიკული ცოდნა, სწრაფი ორიენტირების და ეფექტური გადაწყვეტილების მიღების უნარი, ჯგუფური გადაწყვეტილებების შემუშავებაში ცოდნისა და ინიციატივის გამოვლენის უნარი;
- ჩამოუყალიბოს შესაბამის ფორმატში აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან კომუნიკაციის უნარი;
- განუვითაროს სპეციალური შესაძლებლობები პროფესიული ინოვაციური გადაწყვეტილებების მიღებისათვის, რომლებიც დაკავშირებულია არსებული სისტემების კვლევასთან და ანალიზთან და უახლესი ტექნოლოგიების დანერგვასთან;
- განუვითაროს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისათვის საჭირო

უნარ-ჩვევები შემდგომ საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად;

- მოამზადოს მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებისა და აქტივობის კონკურენტუნარიანი სპეციალისტი დარგში ღირსეული კარიერისთვის, რომელიც მოტივირებული იქნება მეტს მიაღწიოს პროფესიული თვალსაზრისით შიდა და გარე ბაზრებზე;
- გამოუმუშავოს აკადემიური წერისა და დოკუმენტაციის შექმნის უნარ-ჩვევა.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს ბაკალავრს ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც სკოლის (ფაკულტეტის) მიერ განხორციელებულ სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის უფლებას მოიპოვებს საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე; წარმატებით გაივლის საუნივერსიტეტო გასაუბრებას სპეციალობაში. გასაუბრების თემები და საკითხები გამოქვეყნდება ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ვებ გვერდზე; კანდიდატს მოეთხოვება ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნა. იგი გადის ტესტირებას ინგლისურ ენაში. პირი, რომელსაც აქვს შესაბამის დონეზე ენის ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატი ან პირველი საფეხურის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამა გავლილი აქვს ინგლისურ ენაზე, ტესტირებისაგან თავისუფლდება.

სავარაუდო სტუდენტების რაოდენობა

20

დასაქმების სფერო

ინფორმატიკის მაგისტრს, შეუძლია წარმატებით იმუშაოს ნებისმიერ სახელმწიფო, კომერციულ, სამეცნიერო, საინჟინრო, სარეკლამო, საგანმანათლებლო, საბანკო ან სხვა ორგანიზაციებში. მას შეეძლება სხვადასხვა სფეროში ინფორმაციული პროცესებისა და ტექნოლოგიების კვლევა, დაპროექტება, გამოყენება, მულტიმედიური და ვებ პროექტების შემუშავება, მართვა და ადმინისტრირება, ელექტრონული ბიზნესის მენეჯმენტი, ბიზნეს-რესურსების დაგეგმვა, პროექტის მენეჯმენტი, ვებ კონტენტის მენეჯმენტი და სხვა მოღვაწეობა ინტერდისციპლინური ინფორმატიკის სპეციალობით.

სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს უფლება აქვს სწავლა გააგრძელოს სადოქტორო პროგრამით, რომელიც ორიენტირებულია შემდგომი დონის სპეციალისტის მომზადებაზე.

სწავლის შედეგები/ კომპეტენციები (ზოგადი და დარგობრივი)

სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს გამოუმუშავდება ქვემოთ ჩამოთვლილი კომპეტენციები:

ცოდნა და გაცნობიერება

- სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც აძლევს ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას;
- ინტერდისციპლინური პროექტის ოპერაციული და სტრატეგიული დაგეგმარება, ოპერირების სხვადასხვა ფუნქციური არეების ღრმა და სისტემური ცოდნა;
- აცნობიერებს მონაცემების ინტერპრეტაციის, მიზნებისა და კრიტერიუმების ჩამოყალიბებისა და ცალკეულ პრობლემათა გადაჭრის გზებს;
- აქვს სფეროს მეთოდოლოგიური, ინფორმაციულ-ანალიტიკური, ინფორმაციულ-ტექნოლოგიური ცოდნა;
- აცნობიერებს რთული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს;

- წამოჭრილ პრობლემათა გადასაწყვეტად ძირითადი საკითხების (კომპონენტების) გამოყოფის, შესაბამისი დროითი ჩარჩოების დადგენისა და სამუშაოთა შესრულების გრაფიკების შედგენის ცოდნა;
- დამუშავების, მართვის, დანერგვისა და დოკუმენტური თანხლების ამოცანათა გადაჭრის ცოდნა სამეცნიერო-კვლევითი და საწარმოო კოლექტივის შემადგენლობაში;
- ინტერნეტის ქსელიდან და ასევე სხვა წყაროებიდან ინოვაციური სამეცნიერო და ტექნოლოგიური ინფორმაციის მიზანდასახული ძებნის განხორციელების ცოდნა;
- პროფესიულ საქმიანობაში მონაცემთა ბაზების, ოპერაციული სისტემების, ელექტრონული ბიბლიოთეკებისა და პროგრამათა პაკეტების, ქსელური ტექნოლოგიების გამოყენების ცოდნა;
- ინფორმაციული ტექნოლოგიების სოციალური მნიშვნელობის გაცნობიერება.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

- სამუშაო მიზნების მისაღწევად ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგიური რესურსების ეფექტიანად გამოყენების უნარი;
- ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედების უნარი;
- უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების უნარი;
- პროფესიონალიზმის, ცოდნისა და ინიციატივის გამოვლენის უნარი;
- ჯგუფური გადაწყვეტილებების შემუშავებაში ცოდნისა და ინიციატივის გამოვლენის უნარი;
- აქვს ინტერდისციპლინური ინფორმაციის პროექტის შექმნაში და მართვაში არსებული კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიების უნარი;
- უახლესი მეთოდების, მიდგომების და ტექნოლოგიების გამოყენებით ინტერდისციპლინური პროექტის დაპროექტებისა და მოდელირების უნარი;
- დოკუმენტაციის მომზადების, მართვისა და გაფორმების უნარი;
- ინტერდისციპლინური პროექტის მართვის და ორგანიზაციული საქმიანობის წარმართვის უნარი.

დასკვნის უნარი

- რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის, უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება;
- შესრულებული სამუშაოს შეფასებისა და შედეგების განზოგადების, უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზის უნარი;
- ინტერდისციპლინური პროექტირების პროცესში ანალიზისა და სტრატეგიულ-ტაქტიკური გადაწყვეტილების მიღების უნარი;
- სფეროსთვის დამახასიათებელი სამეცნიერო და პროფესიულ პრობლემატიკასთან დაკავშირებით დასკვნების ჩამოსაყალიბებლად საჭირო თანამედროვე სამეცნიერო-პრაქტიკულ კვლევათა მონაცემების შეგროვების, დამუშავებისა და ინტერპრეტირების უნარი;
- საკუთარი პროფესიული საქმიანობის მნიშვნელობასა და შედეგებზე დასკვნის გამოტანის უნარი, პროფესიული, სოციალური და ეთიკური პოზიციების გათვალისწინებით;
- ინფორმაციული საზოგადოების განვითარებაში ინფორმაციის უსაფრთხოების ძირითადი მოთხოვნების არსისა და მნიშვნელობის, მოსალოდნელი რისკების შესახებ სწორი დასკვნის გამოტანის უნარი.

კომუნიკაციის უნარი

- აკადემიური კეთილსინდისიერებითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გათვალისწინებით თავისი დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდების შესახებ აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან კომუნიკაციის უნარი;

სწავლის უნარი

- სწავლის დამოუკიდებლად დაგეგმვა და წარმართვა;
- პროფესიული ცოდნისა და გამოცდილების გამდიდრების მიზნით, საკუთარი პერმანენტული სწავლის მიმართულებების განსაზღვრა;
- სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერება და სტრატეგიულად დაგეგმვა.

ღირებულებები

- ღირებულებებისადმი პატივისცემისა და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანის უნარი;
- ღირებულებებისადმი საკუთარი და სხვების დამოუკიდებულების შეფასების უნარი;
- ეთიკური და კროსკულტურული პასუხისგებლობის გაცნობიერების უნარი.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი.

დისკუსია/დებატები – დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში. ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პროფესორის მიერ დასმული შეკითხვებით. ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.

თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება - იმგვარი სწავლების სტრატეგიაა, სადაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თანაგუნდელს საგნის უკეთ შესწავლაში. თითოეული ჯგუფის წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს.

ჯგუფური მუშაობა - ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) - სასწავლო მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს პრობლემას.

ვერსტიკული მეთოდი – ეფუძნება სტუდენტების წინაშე დასმული ამოცანის ეტაპობრივ გადაწყვეტას. ეს ამოცანა სწავლების პროცესში ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზით ხორციელდება.

დემონსტრირების მეთოდი – ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტიანია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მოვაწოდოთ სტუდენტებს.

შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია როგორც მასწავლებლის, ასევე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად.

წიგნზე მუშაობის მეთოდი;

წერთი მუშაობის მეთოდი – რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის მოქმედებებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის ან ესეს შესრულება და სხვა.

გონებრივი იერიში (Brain storming) - ეს მეთოდი გულისხმობს კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და მისი გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. ეს მეთოდი შედგება რამდენიმე ძირითადი ეტაპისგან:

- პრობლემის/საკითხის შემოქმედებითი კუთხით განსაზღვრა;
- დროის გარკვეულ მონაკვეთში აუდიტორიისგან საკითხის ირგვლივ არსებული იდეების კრიტიკის გარეშე ჩანიშვნა (ძირითადად, დაფაზე);
- გამორიცხვის გზით იმ იდეების გამორჩევა, რომლებიც ყველაზე მეტ შესაბამისობას ავლენს დასმულ საკითხთან;
- კვლევის მიზანთან იდეის შესაბამისობის დასადგენად შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა;
- შერჩეული იდეების შეფასება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებით;

უმაღლესი შეფასების მქონე იდეის, როგორც დასახული პრობლემის გადაჭრის საუკეთესო საშუალების გამოვლენა.

ინდუქციური მეთოდი – განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისკენ.

დედუქციური მეთოდი – განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.

ანალიზის მეთოდი – გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში. ამით მარტივდება რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.

სინთეზის მეთოდი – გულისხმობს ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთლიანის დანახვის უნარის განვითარებას.

პრაქტიკული მეთოდები აერთიანებს სწავლების ყველა იმ ფორმას, რომელიც სტუდენტს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს უყალიბებს. ამ შემთხვევაში სტუდენტი შექმნილი ცოდნის საფუძველზე დამოუკიდებლად ასრულებს ამა თუ იმ მოქმედებას.

ახსნა-განმარტებითი მეთოდი ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პედაგოგს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.

ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება მოითხოვს პედაგოგისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.

პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია – პროექტზე მუშაობისას სტუდენტი რეალური პრობლემის გადასაჭრელად იყენებს შეძენილ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს. პროექტით სწავლება ამაღლებს სტუდენტთა მოტივაციასა და პასუხისმგებლობას. პროექტზე მუშაობა მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკული აქტივობისა და შედეგების წარმოდგენის ეტაპებს არჩეული საკითხის შესაბამისად. პროექტი განხორციელებლად ჩაითვლება, თუ მისი შედეგები თვალსაჩინოდ და დამაჯერებლად, კორექტული ფორმით არის წარმოდგენილი. იგი შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალურად, წყვილებში ან ჯგუფურად; ასევე, ერთი საგნის ფარგლებში ან რამდენიმე საგნის ფარგლებში (საგანთა ინტეგრაცია); დასრულების შემდეგ პროექტი წარედგინება ფართო აუდიტორიას.

შეფასების სისტემა

სტუდენტის მიერ შესაბამის სასწავლო კურსში კრედიტების მიღება/დაგროვება შესაძლებელია მხოლოდ სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სამუშაოს წარმატებით დასრულებისა და კანონმდებლობით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში;

სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულაა, რომელიც უტოლდება საბოლოო შეფასების 100 პროცენტს.

სტუდენტთა შეფასება განისაზღვრება შემდეგი შეფასების სისტემის მიხედვით:

დადებითი შეფასებები

- (A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91 და მეტი;
- (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

უარყოფითი შეფასებები

- (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა;
- (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები.

(FX) ვერ ჩააბარა – უარყოფითი შეფასების მქონე სტუდენტს უფლება აქვს დამოუკიდებელი მუშაობის შემდეგ კიდევ ერთხელ გავიდეს დამატებით დასკვნით გამოცდაზე;

(F) ჩაიჭრა – უარყოფითი შეფასების მქონე სტუდენტი ვალდებულია ახლიდან გაიაროს სასწავლო კურსი.

სტუდენტს შეუძლია მთელი სასწავლო პროცესის განმავლობაში ერთი და იგივე სასწავლო კურსი აიღოს მხოლოდ ორჯერ, მათ შორის, მიღებული დადებითი შეფასების გაუმჯობესების მიზნითაც;

სასწავლო კურსში სტუდენტის შეფასება წარმოებს მთელი სასწავლო სემესტრის განმავლობაში. შესაბამისად, სტუდენტის საბოლოო შეფასება წარმოადგენს შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების ჯამს;

დასკვნითი გამოცდის შეფასების ქულაა 40, დანარჩენი 60 ქულა ნაწილდება შუალედური შეფასებების მიხედვით;

შუალედურ შეფასებაში სავალდებულოა ორი შუალედური გამოცდის გათვალისწინება, რომელთა შეფასებათა ჯამი 40 ქულის ტოლია (თითოეული 20-20 ქულა);

შუალედური შეფასების 20 ქულის განაწილება, რომელიც შეიძლება მოიცავდეს რამოდენიმე ტესტირებას, სემინარებზე, პრაქტიკულ მეცადინეობებზე აქტივობას, წარმოებს სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე და დეტალურად გაიწერება სილაბუსში კურსის წამყვანი პროფესორის მიერ;

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა;

სტუდენტი დამატებით დასკვნით გამოცდაზე გადის იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით დასკვნით გამოცდებს შორის შუალედი არ შეიძლება იყოს 10 დღეზე ნაკლები;

სტუდენტის საბოლოო რეიტინგის დასადგენად და მათ წასახალისებლად სასწავლო პროცესის დასრულებისას გამოითვლება კუმულატიური ქულა (კუმულატიური ქულის გამოთვლა ხორციელდება ყოველი სემესტრის ბოლოსაც).

კუმულატიური ქულის გამოთვლა შემდეგნაირად ხორციელდება: ყოველ სასწავლო კურსში სტუდენტის მიერ მიღებული ქულის რაოდენობრივი მაჩვენებელი გამრავლდეს ამ სასწავლო კურსისათვის განკუთვნილი კრედიტის რაოდენობაზე და შემდეგ ამ რიცხვების საერთო ჯამი გაიყოს სტუდენტის მიერ დაგროვილი კრედიტების რაოდენობაზე.

პროგრამის განსახორციელებლად აუცილებელი რესურსები

მატერიალური რესურსი:

- კანონმდებლობით გათვალისწინებული ფართი (სასწავლო და დამხმარე);
- სათანადო ინვენტარით აღჭურვილი აუდიტორიები, საკონფერენციო დარბაზები, აკადემიური პერსონალის სამუშაო ოთახები, ადმინისტრაციის მუშაობისათვის განკუთვნილი ფართი;
- ელექტროენერჯის მიწოდების უწყვეტი სისტემა;
- სველი წერტილები;
- ბუნებრივი განათება;
- გათბობის საშუალებები;
- ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;
- ევაკუაციის გეგმა;
- სამედიცინო დახმარების მექანიზმები (სამედიცინო კაბინეტი);
- წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები (უნივერსიტეტის დაცვა);
- კომპიუტერთა სათანადო რაოდენობა და ინტერნეტით სარგებლობის შესაძლებლობა;
- საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი სახელმძღვანელოებითა და თანამედროვე

ადამიანური რესურსი:

- აკადემიური პერსონალი შერჩეული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მათი კვალიფიკაციის გათვალისწინებით;
 - მკვლევარებად და მასწავლებლებად უნივერსიტეტში მოწვეულნი არიან შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პრაქტიკოსი მუშაკები და სამეცნიერო ხარისხის მქონე პირები.
-